ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თეთრიწყარო

ბრძანება:**ბ124. 124230452**
თარიღი:**14/02/2023**

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრების, რეგისტრირებულ ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 85^3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების, 85^4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტებისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებით დამტკიცებული პროცედურების და კრიტერიუმების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის ფუნქციების დროებით შემსრულებლის 2023 წლის 09 თებერვლის N03-1242304036 წერილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც რეგისტირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნეს დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს რეგისტრირებულ ამომრჩევლებთან კონსულტაციები ამ ბრძანების №1 დანართით განსაზღვრულ თარიღებში.

2. მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურს და მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში დაევალოთ მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათთვის კონსულტაციების გაწევა საპროექტო წინადადების შემუშავების პროცესში.

3. თითოეულ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს ამ ბრძანების №1 დანართის მიხედვით.

4. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურში და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ყოველდღე, 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, 2023 წლის 9 მარტის ჩათვლით. აგრეთვე, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შემდეგ მისამართზე: Meria@tetritskaro.gov.ge.

5. დასახლებების საერთო კრებების სხდომების და რეგისტრირებულ ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებაში განსახორციელებელი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევა.

6. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ:

-ნიკოლოზ თვალიაშვილი, ტელ:599207939, ელ.ფოსტა: Nikoloz.tvaliashvili@tetritskaro.gov.ge

- ედუარდ სარქისიანი, ტელ:577953954, ელ.ფოსტა: zedamxedveli@yahoo.com;

-ნინო სარდლიშვილი, ტელ:598599471, ელ-ფოსტა: ninosardlishvili25@gmail.com;

- შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელი;

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

8.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. N11) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დანართი: ექსელის ფაილი;

გიორგი წიკლაური

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი